



ბუღალტრული აღრიცხვის ავტომატიზაცია

DOI:10.36962/ECS105/1-2/2023-63

თეონა გიგინეიშვილი

სტუ დოქტორანტი

teoteogigineishvili@yahoo.com

მეცნ. ხელმძღვანელი:

ანზორ კურატაშვილი

სტუ ასოც. პროფესორი

რეზიუმე

დღევანდელი სამყარო წარმოუდგენელია კომპიუტერისა და ინტერნეტის გარეშე. ადამიანები ცდილობენ გაამარტივონ რუტინული ხელით შრომა მანქანური შრომით. აქვე აღვნიშნოთ, რომ ეს არ გულისხმობს ადამიანის ჩანაცვლებას, უბრალოდ მას გაუჩნდა მეტი დრო რაღაც ახლის შესაქმნელად და ძველის გასაუმჯობესებლად, რუტინული სამუშაოს შემცირებით. ავტომატიზაციის კონცეფცია მოიაზრებს ადამიანის უშუალო მონაწილეობას პროცესში. ავტომატიზაცია შეეხო თითქმის ყველა სფეროს, მათ შორის საბუღალტრო აღრიცხვას.

სულ უფრო აქტუალური ხდება ბუღალტრული აღრიცხვის ავტომატიზაცია. სისტემას აქვს რიგი უპირატესობებისა, პირველ რიგში ადამიანური ფაქტორის გავლენა მთლიანად აღმოფხვრილია, რადგან ბუღალტერია მაქსიმალურად გამარტივებულია, ამასთან, სამუშაო სრულდება ოპერატიულად. ბუღალტრული აღრიცხვის ავტომატიზაცია გულისხმობს კომპიუტერული ტექნოლოგიებისა და პროგრამების გამოყენებას მონაცემების შენახვის, დამუშავების, რეგისტრაციისა და საბუ-

ლალტრო ინფორმაციის გადაცემის მიზნით. გარდა ამისა, საბუ-
ლალტრო აღრიცხვის ავტომატიზაცია მთლიანად ორგანიზაციის
მუშაობის სტრატეგიულად დაგეგმვის საშუალებას იძლევა. მო-
ნაცემთა დაცვის ფუნქციის მეშვეობით მცირდება ინფორმაციის
დაკარგვის რისკები. პროგრამა არა მხოლოდ უზრუნველყოფს
ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ აუცილებელი ინფორმა-
ციის მომზადებასა და შენახვას, არამედ ქმნის ბუღალტრულ და
საგადასახადო ანგარიშგებას. სწორედ ეს არის საბუღალტრო
აღრიცხვის ავტომატიზაციის მთავარი მიზანი.

სტატიაში განხილულია საბუღალტრო აღრიცხვის ავტომა-
ტიზაციის პროცესი და ამ პროცესთან დაკავშირებული თავისე-
ბურებები.

საკვანძო სიტყვები: საბუღალტრო აღრიცხვა, ავტომატიზა-
ცია, ციფრული აღრიცხვა, პროგრამული უზრუნველყოფა.

ძირითადი ტექსტი

საბუღალტრო აღრიცხვის ავტომატიზაცია ბიზნესის გაცი-
ფრულების ერთ-ერთი პირველი ტრენდია, რომელიც ბაზარზე
10 წელზე მეტი ხნის წინ დაიწყო. საბუღალტრო აღრიცხვის
ავტომატიზაცია გულისხმობს ფუნქციების ნაწილის გადაცე-
მას პროგრამულ უზრუნველყოფაში, რათა მოხდეს სამუშაო
პროცესის დაჩქარება და ეფექტიანობის გაზრდა. თითოეულ
ბიზნესს თავისი მახასიათებელი აქვს, შესაბამისად ხდება ცი-
ფრული ინსტრუმენტების ინდივიდუალურად შერჩევა. დღეს,
ავტომატიზაცია გვაძლევს საშუალებას, უარი ვთქვათ პირვე-
ლადი დოკუმენტაციის ქაღალდზე წარმოებაზე, საქალაქო
არქივის შენახვასა და შრომატევად რუტინულ ოპერაციებზე,
რომელიც დოკუმენტაციის ხელით შევსებასთან და დაარქივე-
ბასთანაა დაკავშირებული. ავტომატიზაციამდე, ბუღალტრებს
უნევდათ საბუღალტრო ჩანაწერების ბუღალტრულ ჟურნა-
ლებში ხელით ჩანერა და კონტროლი, მარტივი ანგარიშის შე-
საქმნელად კი საჭირო იყო დიდი რაოდენობის ინფორმაციის
დამუშავება. ციფრული აღრიცხვა, პირველ რიგში, ამარტივებს
ფინანსური დოკუმენტების გადაყვანას ელექტრონულ ფორ-

მატში. ამას ინტელექტუალური სერვისები ახორციელებენ. თანამშრომლებისაგან საჭიროა მხოლოდ საბოლოო შედეგების შემოწმება და ვერიფიკაცია, სხვადასხვა რეგისტრები ავტომატურად ყალიბდება.

ბუღალტრების ყველაზე დიდი შიში უკავშირდება ხელოვნური ინტელექტის დანერგვისა და რობოტიზაციის შედეგად, მათ უსამსახუროდ დატოვებასა და საბოლოო ჯამში ბუღალტრის პროფესიის გაქრობას. მართლაც, პროგრამული მომსახურება კომპანიებს საბოლოო ჯამში უფრო ნაკლები დაუჯდებათ, ვიდრე თანამშრომლების ხელფასები. თუმცა, რეალურად, ინტელექტუალურ სერვისებს არ შეუძლიათ სრულად კვალიფიციური კადრის ჩანაცვლება, უფრო მეტიც, დიფიტილიზაცია დაეხმარება ბუღალტრებს რუტინული სამუშაოსგან გათავისუფლდნენ, ამასთან კადრები დაეუფლებიან ინფორმაციულ ტექნოლოგიებს უკეთ და ეს გაზრდის მათ კვალიფიკაციას და შესაბამისად ანაზღაურებას. კითხვაზე, თუ რა აფერხებს ავტომატიზაციის პროცესს, პასუხი შემდეგია - კომპანიების უმეტესობისათვის ახალ პროგრამულ უზრუნველყოფაზე გადასვლა სტრესს უკავშირდება. ბუღალტერს უნევს გადამზადება, მონაცემების ერთი სისტემიდან მეორეში გადატანა, უნდა დარწმუნდეს, რომ პროგრამა კანონმდებლობას და უახლეს ცვლილებებს შეესაბამება, თუმცა ამ პროცედურებს შეგვიძლია სხვა მხრივ შევხედოთ, პროგრამულ უზრუნველყოფას გადაეცემა რუტინული სამუშაოს უდიდესი ნაწილი, თავად ბუღალტერს უნევს მხოლოდ მონაცემთა ანალიზი, რისკების მართვა და კონსულტაცია. განვიხილოთ, ვისთვის რა სარგებლის მომტანია საბუღალტრო აღრიცხვის ავტომატიზაცია:

მენეჯერები და მფლობელები - დროულად იღებენ ინფორმაციას ფინანსების მდგომარეობისა და მიმდინარე შემოსავლების შესახებ; ყოველთვის ზუსტად იციან საქონლის რეალური ნაშთი საწყობში; აქვთ შესაძლებლობა თვალყური ადევნონ ტრანზაქციებს რეალურ დროში; გაუმჯობესდება მენეჯერული გადაწყვეტილებების ხარისხი სრული ინფორმაციის მიღების შედეგად;

ბუღალტრები - შეუძლიათ პროგრამაში გადაიტანონ სტანდარტული მათემატიკური გამოთვლები; გამოითავსოს უფლონ დრო ტრენინგებისა და საკონტროლო შემონმბებისათვის; უფრო სწრაფად მოაწერონ ხელი და მიიღონ აქტები და ინვოისები, წარადგინონ ფაქტურები და საგადასახადო დოკუმენტაცია;

თანამშრომლები - დროულად იღებენ ცნობებს, შეუძლიათ ელექტრონული განცხადებებისა და შენიშვნების წარდგენა.

მომხმარებლები - თავიდან აიცილებენ წარმოების და მიწოდების შეფერხებას; შესაძლებელი იქნება დოკუმენტების სწრაფი გაცვლა.

სისტემაში შეყვანილი მონაცემების საფუძველზე ანგარიშების აგება ხდება რამდენიმე წუთში, უფრო მეტიც, ახალი ტექნოლოგიები გვაძლევს საშუალებას გაკეთდეს სხვადასხვა პროგნოზი და ანალიტიკა. საწარმოში უამრავი სახის ოპერაცია ტარდება, ფულადი ტრანზაქციები, ხელფასების დათვლა და გაცემა, ინვენტარის, პროდუქციის შეძენა, ამორტიზაციის დარიცხვა და სხვა. ყოველი ასეთი ოპერაციისათვის ადრე აუცილებელი იყო პირველადი დოკუმენტის გაცემა, რომელიც უშუალოდ ხელით ინერებოდა ქაღალდზე. ახლა თითქმის ყველგან ინფორმაცია ინახება ელექტრონულად. ყველა დოკუმენტის მონაცემი გადის თქვენს მიერ შერჩეულ ავტომატიზაციის სისტემაში და მარტივად გადადის ერთი შემნახველიდან მეორეზე.

თუმცა მხოლოდ დოკუმენტების არსებობა არ არის საკმარისი ანგარიშების წარმოებისათვის. ამიტომ, სპეციალური ალგორითმები გადაიყვანენ ამ დოკუმენტებს საბუღალტრო ჩანაწერებში. თუ ბუღალტერს ადრე თავად უწევდა ამ ჩანაწერების შედგენა, ახლა სისტემა ცნობს თითოეული ტრანზაქციის ტიპს და ადგენს შესაბამის გატარებებს. ამავდროულად, პროგრამა მხედველობაში მიიღებს არა მხოლოდ მიმდინარე დოკუმენტის მონაცემებს, არამედ ყველა წინა ჩანაწერს. როდესაც ავტომატიზაციის სისტემას აქვს ყველა საჭირო მონაცემი, მას შეუძლია გააერთიანოს ისინი და შექმნას სასურველი ანგარიშგებები მასში გაწერილი ალგორითმების მიხედვით.

ასე რომ, ავტომატიზაცია გვაძლევს საშუალებას მივიღოთ ჩვენთვის საჭირო ინფორმაცია საჭირო დროსა და სწორი ფორმით, მცირედი ძალისხმევითა და შეცდომების მინიმუმამდე დაყვანით. მაღალი კონკურენცია და მოგების გაზრდის სურვილი ასტიმულირებს კომპანიებს, რომ გაუმარტივონ შრომა თანამშრომლებს და დაუტოვონ დრო სტრატეგიული განვითარებისათვის, სწორედ ამას ემსახურება აღრიცხვის ავტომატიზაცია.

გამოყენებული ლიტერატურა/ REFERENCES:

1. Dr. Chukwuani, Victoria Nnenna , Dr. Egiyi, Modesta Amaka. "Automation of Accounting Processes: Impact of Artificial Intelligence". International Journal of Research and Innovation in Social Science".

2. "Automation of financial reporting and technical accounting". <https://assets.kpmg.com/content/dam/kpmg/uk/pdf/2019/09/automation-of-financial-reporting-and-technical-accounting.pdf>

AUTOMATION OF ACCOUNTING

Teona Gigineishvili

PhD student of GTU

teoteogigineishvili@yahoo.com

Anzor Kuratashvili,

Scientific Supervisor:

Associate Professor of GTU

RESUME

The modern world cannot be imagined without computers and the Internet. People are trying to simplify routine manual labor with machine labor. Note here that this does not mean replacing a person, it simply gives him more time to create something new and im-

prove the old by reducing routine work. The concept of automation involves the direct participation of a person in the process. Automation has touched almost all areas, including accounting.

Accounting automation is becoming more and more relevant. The system has a number of advantages, first of all, the influence of the human factor is completely eliminated, because accounting is simplified as much as possible, while the work is completed promptly. Automation of accounting refers to the use of computer technologies and programs for data storage, processing, registration and transfer of accounting information. In addition, the automation of accounting allows for strategic planning of the work of the organization as a whole. Through the data protection function, the risks of information loss are reduced. The program not only ensures the preparation and storage of necessary information about the organization's activities, but also creates accounting and tax reporting. This is the main goal of accounting automation.

The article discusses the process of accounting automation and the features related to this process.

Keywords: accounting, automation, digital accounting, software.